ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 37 794

19/07/2016

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვაზისუბანში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3500 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.47.374, არსებული ნაგებობის (ყოფილი კულტურის სახლის) პრივატიზების შესახებ**

---

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე"–ქვეპუნქტის „ე.ე"–ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ივლისის №38 122 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**1.1.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვაზისუბანში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3500 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.47.374, არსებული ნაგებობა (ყოფილი კულტურის სახლი) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

**1.2.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვაზისუბანში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3500 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.47.374, არსებული ნაგებობის (ყოფილი კულტურის სახლი) პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

**1.3.** პირობად განისაზღვროს, რომ:

**1.3.1.** ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

**1.3.2.** ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

**1.3.3.** ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) თვე. აღნიშნული 1 (ერთი) თვიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების დადებიდან.

**1.4.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვაზისუბანში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3500 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.47.374, არსებული ნაგებობის (ყოფილი კულტურის სახლის) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 5500 (ხუთიათასხუთასი) ლარი.

**1.5.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვაზისუბანში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3500 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.47.374, არსებული ნაგებობის (ყოფილი კულტურის სახლის) ბიჯი განისაზღვროს მისი საპრივატიზებო საწყის ფასის 10%–ს ოდენობით.

**1.6.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვაზისუბანში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3500 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.47.374, არსებული ნაგებობის (ყოფილი კულტურის სახლის) საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%–ს ოდენობით.

**1.7.** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

**2.** ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი